საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარკოზაშვილი თეიმურაზ მიხეილის ძე

მარკოზაშვილი თეიმურაზ მიხეილის ძე (5. XII. 1927, თელავი, 14. VII. 1973, თბილისი), არქიტექტორი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977). დაამთავრა სპი-ის სამშენებლო ფაკ-ტი არქიტ. სპეციალობით (1949). ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა არქიტექტორად სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციაში, მ. შ. „საქგიპროშახტში“, „საქქალაქმშენსახპროექტში“. ძირითადი ნამუშევრები: საცხოვრ. სახლები თბილისში (1952–58), საბაგირო გზის ქვედა და ზედა სადგურები კუს ტბაზე (1962), ჰიდროელექტროსადგურის შენობა მდ. ჩორდაზე (1954), საცხოვრ. სახლები ტყიბულსა და მახარაძეში (ახლანდ. ოზურგეთი; 1954–57, არქიტ. გ. გოზალიშვილთან ერთად), ახალი ათონის გამოქვაბულის კომპლექსი (1976, ავტორთა ჯგუფთან ერთად – სსრკ სახელმწ. პრემია), 280-ადგილიანი ტურბაზა ვარძიაში (1978).